

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5 3 2

ქ. ბათუმი, 05 თებერვალი 2018 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო
ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კო-დექსი“-ს 86¹ მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თანდართული დებულება.
2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო
მრჩეველთა საბჭოს დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში „მერი“) სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) შექმნის, საქმიანობის, რეკომენდაციათა შემუშავების და საბჭოს მერთან ურთიერთობის წესსა და პირობებს.

2. საბჭო წარმოადგენს მერის სათათბირო ორგანოს.

3. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

4. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს უფლებამოსილება

1. საბჭო უფლებამოსილია:

ა) განიხილოს მერის წელიწადში ერთხელ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია;
ბ) მოამზადოს, განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;

დ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;

ე) სხდომაზე მოიწვიოს და მოუსმინოს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებს;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის მომზადების პროცესში და განიხილოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოსთვის მის წარდგენამდე;

ზ) განიხილოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების პროექტები;

თ) განიხილოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;

ი) განიხილოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;

კ) განიხილოს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებისა და გაუქმების შესახებ დადგენილებების პროექტები;

ლ) განიხილოს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების მოძრაობის მარშრუტების რეგულირების შესახებ დადგენილების პროექტები;

მ) მოამზადოს, განიხილოს და წარუდგინოს მერს წინადადებები შესაბამის თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ნ) მოამზადოს, განიხილოს სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები.

2. საბჭო უფლებამოსლია განახორციელოს საბჭოს დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები და განიხილოს სხვა ისეთი საკითხები, რომელიც შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში და რომლის განხილვაც მიზანშეწონილად ჩათვალოს საბჭომ.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა და მისი ფორმირების წესი

1. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს მერი, საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადად განისაზღვრება მერის უფლებამოსილების ვადა.

2. საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისაგან, სადაც ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების, სტუდენტური თვითმმართველობების და ა.შ.

4. საბჭოს შემადგენლობაში მეწარმე იურიდიული პირების წარმომადგენლების განსაზღვრისათვის მერი ოფიციალური წერილობითი ფორმით მიმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას თხოვნით, რათა მათ მიერ მოხდეს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გაწევრიანებული მეწარმე იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან კანდიდატების შერჩევა და მათი წარდგენა მერისათვის.

5. საბჭოს შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განსაზღვრისათვის მერი ოფიციალური წერილობითი ფორმით მიმართავს ქ. ბათუმში მოქმედ აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა მათ მიერ ერთობლივად მოხდეს საბჭოს შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შერჩევა და მერისათვის ერთობლივი მიმართვის საფუძველზე წარდგენა.

6. საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების შეყვანის მიზნით მერი ოფიციალური წერილობითი ფორმით მიმართავს ბათუმში არსებულ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, რათა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სტუდენტური თვითმმართველობების მიერ მოხდეს წარმომადგენლების შერჩევა და მერისათვის წარდგენა.

7. საბჭოს შემადგენლობაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმომადგენლების შეყვანის მიზნით მერი ოფიციალური წერილობითი ფორმით მიმართავს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შექმნილი საუბნო კავშირების თავმჯდომარეებს, რათა ერთობლივად მოახდინონ წარმომადგენლების არჩევა და მერისათვის წარდგენა.

8. საბჭოს შემადგენლობაში განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლების შეყვანის მიზნით მერი ოფიციალური წერილობითი ფორმით მიმართავს ამ სფეროში პოლიტიკის გამტარებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის დაწესებულებებს და ამ სფეროში არსებულ სხვა ორგანიზაციებს, რათა მათ მიერ მოხდეს შესაბამისი პირების შერჩევა და მერისათვის წარდგენა.

9. მერი ახორციელებს წარდგენილი კანდიდატებიდან მრჩველთა საბჭოს შემადგენლობის შერჩევას და საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებას.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა, ხელმძღვანელობა, საბჭოს წევრების უფლებამოსილება, მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი

1. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს თავმჯდომარეს და მოადგილეს საკუთარი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს საბჭოს წევრები. საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ საჭოს არანაკლებ 3 წევრს.

2. საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უძღვება საბჭოს სხდომებს, უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანების და უფლება-ვალდებულებების შესრულებას. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმების შედგენას და აღრიცხვას. მდივანი ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომებს და სხვა საქმიანობას.

4. საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის განხილვისას, წინადადების/რეკომენდაციის შემუშავებისას მოიწვიოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და სპეციალისტები. ექსპერტები და სპეციალისტები მონაწილეობენ საბჭოს მუშაობაში და რჩევებს/მოსაზრებებს/დასკვნებს და რეკომენდაციებს აწვდიან საბჭოს. საბჭოს მიერ ექსპერტის ან სპეციალისტის მოწვევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე კონკრეტული მიმართულებით კონსულტაციის მიღების მიზნით.

5. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ, 3 თვეში ერთხელ.

6. საბჭოს სხდომა აგრეთვე მოიწვევა:

ა) მერის ინიციატივით;

ბ) საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით.

7. საბჭოს პირველ სხდომას იწვევს მერი.

8. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე, საბჭოს სხდომის მოწვევა ხდება საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს წევრების შესაბამისი ინფორმირების მეშვეობით.

9. საბჭოს მდივანი თავმჯდომარის დავალებით ადგენს დღის წესრიგს და მას წინასწარ აწვდის საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საბჭოს სხდომის გამართვის ადგილის, თარიღის, დროის და დღის წესრიგის თაობაზე.

10. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭირს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. საბჭოს წევრების ხმათა თანასწორობის შემთხვევაში გამამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

11. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

12. საბჭოს წევრების უფლებამოსილება:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, მოახდინოს საკითხის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ბ) შევიდეს და გადაადგილდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მერის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების გამართულ საჯარო სხდომებში, დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

დ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- ე) საბჭოს და მერს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები;
- ვ) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.

13. საბჭოს წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) საბჭოს წევრობაზე წარმომდგენი მეწარმე იურიდიული პირის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ საბჭოში მისი წარმომადგენლობის გაწვევა (ამ შემთხვევაში შესაბამისი მეწარმე იურიდიული პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია წარმოადგენს ახალ წარმომადგენელს, წევრობის უფლებამოსილების ვადით);
- გ) თუ განხორციელდა საბჭოში მისი წარმომადგენელი იურიდიული პირის ლიკვიდაცია;
- დ) უფლებამოსილების ვადის გასვლა;
- ე) გარდაცვალება ან იურიდიული პირის ლიკვიდაცია;
- ვ) სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიძღვრება ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- ზ) მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- თ) საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა;
- ი) მერის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.

14. საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება მერის ბრძანებით.

15. საბჭოს წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, საბჭოს ახალი წევრის შერჩევა ხდება ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. საბჭოს სხდომის ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

1. საბჭოს სხდომები ღიაა და მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს.
2. საბჭოს სხდომის თარიღის, გამართვის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომამდე, 2 დღით ადრე მაინც, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. საბჭოს სხდომის თარიღის, გამართვის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ, საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიეწოდებათ სხდომამდე, 3 დღით ადრე მაინც, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო შეტყობინების გზით.
4. საბჭოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ქვეყნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. საბჭო წელიწადში ერთხელ წარადგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 6. საბჭოსა და მერის ურთიერთობები

1. მერი ვალდებულია საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები.
2. საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ შესაბამის რეკომენდაციას/წინადადებას წერილობით წარუდგენს მერს. საბჭო უფლებამოსილია მერს წარუდგინოს თავისი რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნები.
3. მერი უფლებამოსილია არ გაიზიაროს საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა.
4. ამ დებულებით განსაზღვრული საკითხების საბჭოს მიერ არ განხილვა მერისათვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

5. მერის მიერ საბჭოსათვის სამუშაო მასალების (კორესპონდენციების, პროექტების) გადაცემა და მეორეს მხრივ საბჭოდან მერისათვის შესაბამისი წინადადებების (რეკომენდაციების) გადაცემა ხორციელდება უშუალოდ, მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილებაში მოძრაობის გარეშე ან/და ოფიციალურად მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მეშვეობით.

მუხლი 7. საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. მერია საბჭოს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ფართითა და სამუშაო მასალებით.
2. კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში მერია ხელს უწყობს საბჭოს სამოქალაქო ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებაში.